

შპს „პორტალ +“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	9
5. ამონაგები რეალიზაციიდან	11
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11
7. კომერციული ხარჯები.....	11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	11
9. ძირითადი საშუალებები	12
10. გაცემული სესხები	13
11. არამატერიალური აქტივები	13
12. სასაქონლო მატერიალური მარაგები	13
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
14. ფული და ფულის ექვივალენტები	14
15. კაპიტალი.....	14
16. გადასახადები	15
17. მიღებული სესხები	15
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	16
19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	16
20. პირობითი ვალდებულებები	17
21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	18

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	20
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	21
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	22
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	22
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	22
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პორტალ +“-ის მენეჯმენტსა და მეწილეს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პორტალ +“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „პორტალ +“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ, კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 9,522 ათას ლარს. მარაგების ფიზიკურ არსებობაზე ჩვენი მოსაზრება იყო მოდიფიცირებული შესადარის თარიღისათვის. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“ - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც მოცემულია მენეჯმენტის პოზიცია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 851 ათას ლარს. ამასთან, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებები (სესხების გარეშე) მიმდინარე აქტივებს აჭარბებს 982 ათასი ლარით და კომპანია საჭიროებს ინვესტიციებს საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად და სასესხო ვალდებულებების დასაფარად. ამავ დროს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარღვეული იყო მიღებულ სესხთან დაკავშირებით არსებული ფინანსური კოვენანტები (დეტალებისთვის იხილეთ მე-17 შენიშვნა).

მომავალში ვალდებულებების გასტუმრება და საქმიანობის შეუფერხებელი წარმართვა არსებითად არის დამოკიდებული მომავალში დაფინანსების მიღებაზე. მენეჯმენტს და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ კომპანია საშუალოვადიან პერსპექტივაში შეძლებს დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირებას და სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად აუცილებელი ფულადი სახსრების მოზიდვას. ამისთვის კომპანიას შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგია და ბიზნეს მოდელი.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 20-23 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი

და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

7 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო.

და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგვემოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონიერულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

7 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო.

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები რეალიზაციიდან	5	130,654	114,404
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(123,996)	(107,822)
საერთო მოგება		6,658	6,582
კომერციული ხარჯები	7	(6,228)	(5,788)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,372)	(1,406)
სხვა საოპერაციო წმინდა ხარჯი/(შემოსავალი)		(20)	37
საოპერაციო ზარალი		(962)	(575)
ფინანსური შემოსავალი		131	-
ფინანსური ხარჯი		(553)	(270)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,384)	(845)
მოგების გადასახადი		-	(13)
წლის სრული ზარალი		(1,384)	(858)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 7 დეკემბერს:

ბექა ებგვერამე
დირექტორი

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები რეალიზაციიდან	5	130,654	114,404
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(123,996)	(107,822)
საერთო მოგება		6,658	6,582
კომერციული ხარჯები	7	(6,228)	(5,788)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,372)	(1,406)
სხვა საოპერაციო წმინდა ხარჯი/(შემოსავალი)		(20)	37
საოპერაციო ზარალი		(962)	(575)
ფინანსური შემოსავალი		131	-
ფინანსური ხარჯი		(553)	(270)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,384)	(845)
მოგების გადასახადი		-	(13)
წლის სრული ზარალი		(1,384)	(858)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 7 დეკემბერს:



	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,340	1,497
გრძელვადიანი სესხები	10	2,593	-
არამატერიალური აქტივები	11	106	99
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,039	1,596
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	12	9,522	4,621
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	1,008	449
გაცემული სესხები	10	1,204	225
ფული და ფულის ექვივალენტები	14	641	695
სულ მიმდინარე აქტივები		12,375	5,990
სულ აქტივები		16,414	7,586
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	-	-
დაუფარავი ზარალი	15	(851)	(900)
სულ კაპიტალი		(851)	(900)
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	16	805	98
მიღებული სესხები	17	3,908	4,713
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	12,552	3,675
სულ მიმდინარე ვალდებულებები		17,265	8,486
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,414	7,586

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	-	30	30
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(858)	(858)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(72)	(72)
31 დეკემბერი 2021	-	(900)	(900)
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(1,384)	(1,384)
ოპერაციები მესაკუთრებთან:			
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი (შენიშვნა 15)	-	1,433	1,433
31 დეკემბერი 2022	-	(851)	(851)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე	(1,384)	(845)
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	406	337
საპროცენტო შემოსავალი	(131)	-
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	209
ფინანსური ხარჯი	553	270
მარაგების ჩამოწერა	357	74
უიმედო და საეჭვო ვალების რეზერვის ცვლილება	179	121
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	(20)	166
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(5,258)	(17)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(676)	(89)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	-	387
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	8,815	(3,615)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	707	98
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	3,568	(3,070)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(13)
გადახდილი პროცენტი	(555)	(243)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე)	3,013	(3,326)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(238)	(881)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(18)	(102)
გაცემული სესხი	(3,441)	(225)
საინვესტიციო აქტივებებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(3,697)	(1,208)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული/(დაფარული) სესხი	(803)	4,686
მეწილის სახელით განხორციელებული	1,433	-
ოპერაციებიდან მიღებული ფული, ნეტო	-	(72)
გადახდილი დივიდენდები	-	(72)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	630	4,614
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(54)	80
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	695	615
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	641	695

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

პორტალ + (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2016 წლის მაისში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405148521.

ძირითადი საქმიანობა. შპს „პორტალ +“ -ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საავტომობილო საწვავით საცალო ვაჭრობა. კომპანიას იჯარით აქვს აღებული ბენზინგასამართი სადგურები და უზრუნველყოფს მათ ფუნქციონირებას. კომპანია ბაზარზე წარმოდგენილია 38 ბენზინგასამართი სადგურით, საიდანაც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ გახსნა 1 აგს.

38 ბენზინგასამართი სადგურიდან 14 განთავსებულია თბილისის ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 230 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გ. ხუციშვილის ქ #3.

კომპანიის მეწილეები: 2021 წლის ივლისის თვეში შპს „პორტალ +“ -ის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა შპს „პ3“. თავის მხრივ შპს „პ3“-ის დამფუძნებლები არიან ნოდარ ხუხაშვილი (50%) და შალვა ხუხაშვილი (50%).

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, მენეჯმენტის მიერ გამოყენებული მსჯელობა მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის მქონე ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება

ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	7
ავტოგასამართი სადგურების აღჭურვილობა	3-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მოსალოდნელი გამოყენების პერიოდი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამომშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ;

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.

კომპანიის უნარზე განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 851 ლარს. საოპერაციო ხარჯების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტებისგან და დამფუძნებლებისგან მიღებული სახსრები;
- როგორც მიმდინარე ასევე შესადარისი პერიოდი კომპანიამ დაასრულა უარყოფითი შედეგით;
- კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა ვადადამდგარი კრედიტორული დავალიანება და დარღვეული იყო მიღებულ სესხთან დაკავშირებით არსებული ფინანსური კოვენანტები.

მენეჯმენტმა, იმის შესაფასებლად აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, იხელმძღვანელა შემდეგი ფაქტორებით:

- საანგარიშგებო თარიღის შემდგომ კომპანიამ დაფარა ბანკიდან მიღებული სესხი 833 ლარის ოდენობით და სესხის აღებიდან ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში გრაფიკის მიხედვით ფარავს სასესხო ვალდებულებას. ამასთან, ჰოლდინგის მასშტაბით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ბანკთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გეგმის შემუშავებაზე. შესაბამისად, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ მოუწევს სასესხო ვალდებულებების დროზე ადრე დაფარვა.
- მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ მომავალში სწორად მოხდეს კომპანიის საოპერაციო საქმიანობის დაგეგმვა, რათა გაუმჯობესდეს კომპანიის ფინანსური შედეგები. კერძოდ, 2022 წლის ბოლოდან მენეჯმენტმა შეცვალა სტრატეგია და შეწყვიტა არარენტაბელური ბენზინგასამართი სადგურების ოპერირება, სადაც მოგების მარჟა იყო მნიშვნელოვნად დაბალი.
- მენეჯმენტი მუშაობს ასევე ხარჯების ოპტიმიზირების შესაძლებლობაზე და ეს პროცესი არ არის დასრულებული.
- დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჰოლდინგის მასშტაბით ინვესტირებასთან. მოლაპარაკებების ძირითადი ნაწილი დასრულებულია და შეთანხმება მიმდინარეობს დეტალებზე, რომლის შემდეგაც კომპანია კაპიტალში შენატანის ფორმით მიიღებს დაფინანსებას, შედეგად კომპანია უზრუნველყოფს საოპერაციო საქმიანობის დაფინანსებას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- კომპანიამ ბენეფიციარი მფლობელებისგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რომელშიც ისინი გამოხატავენ მზადყოფნას, რომ საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ კომპანია ფინანსური რესურსით, რათა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიამ შეძლოს ვალდებულებების სრულად მომსახურება.

აქედან გამომდინარე, მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია და მომავალში კომპანია შეძლებს საოპერაციო შედეგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ფუქციონირებას გრძელვადიან პერიოდში.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისთვის თუ არ არსებობს იმის გონივრული რწმენა, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ კომპანია მიიღებს საკუთრების უფლებას, აქტივი ჩამოიწერება იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები რეალიზაციიდან მოიცავს ნავთობპროდუქტების საცალო ქსელში რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალს.

	2022	2021
ამონაგები რეალიზაციიდან - თბილისი	68,052	72,902
ამონაგები რეალიზაციიდან - რეგიონები	62,602	41,502
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	130,654	114,404

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს საწვავის შეძენის და ტრანსპორტირების ღირებულებას.

7. კომერციული ხარჯები

	2022	2021
საიჯარო ქირა	(3,331)	(3,447)
შრომის ანაზღაურება	(1,867)	(1,468)
ცვეთა და ამორტიზაცია	(406)	(337)
ბანკის საკომისიო	(388)	(319)
კომუნალური ხარჯები	(234)	(202)
რეკლამის ხარჯი	(2)	(15)
სულ კომერციული ხარჯები	(6,228)	(5,788)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(346)	(188)
რემონტის ხარჯები	(304)	(604)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(179)	(121)
საკონსულტაციო ხარჯები	(154)	(124)
დაზღვევის ხარჯები	(44)	(39)
საპენსიო ხარჯი	(42)	(32)
საკანცელარიო ხარჯები	(40)	(28)
კომუნიკაციის ხარჯები	(34)	(32)
ბანკის საკომისიო	(27)	(40)
საგადასახადო ხარჯი	(21)	(16)
საწვავის ხარჯები	(10)	(31)
სხვა	(171)	(151)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,372)	(1,406)

შპს „პორტალ +“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ავტოგასამართი სადგურების აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2020	886	31	18	621	1,556
შემოსვლა	527	8	-	140	675
გასვლა	(4)	-	-	-	(4)
31 დეკემბერი 2021	1,409	39	18	761	2,227
შემოსვლა	153	81	-	4	238
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	1,562	120	18	765	2,465
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2020	(212)	(13)	(3)	(169)	(397)
ცვეთის ხარჯი	(224)	(10)	(2)	(98)	(334)
გასვლა	1	-	-	-	1
31 დეკემბერი 2021	(435)	(23)	(5)	(267)	(730)
ცვეთის ხარჯი	(270)	(17)	(2)	(106)	(395)
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(705)	(40)	(7)	(373)	(1,125)
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2021	974	16	13	494	1,497
31 დეკემბერი 2022	857	80	11	392	1,340

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ არაუზრუნველყოფილ სესხებს ეროვნულ ვალუტაში. სესხის საპროცენტო განაკვეთია 11,5%.

11. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2020	-	-
შემოსვლა	102	102
გასვლა/ჩამოწერა	-	-
31 დეკემბერი 2021	102	102
შემოსვლა	18	18
გასვლა/ჩამოწერა	-	-
31 დეკემბერი 2022	120	120
დაგროვილი ამორტიზაცია		
31 დეკემბერი 2020	-	-
ამორტიზაციის ხარჯი	(3)	(3)
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2021	(3)	(3)
ამორტიზაციის ხარჯი	(11)	(11)
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022	(14)	(14)
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2021	99	99
31 დეკემბერი 2022	106	106

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საწვავი	9,495	4,594
სხვა	27	27
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	9,522	4,621

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	1,110	423
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	26	79
	1,136	502
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(326)	(147)
ფინანსური აქტივები, ნეტო	810	355
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	198	94
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,008	449

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	(147)	(26)
უიმედო და საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების ზრდა	(179)	(121)
ნაშთი წლის ბოლოს	(326)	(147)

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული სალაროში	216	464
ფული ბანკში	425	231
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	641	695

15. კაპიტალი**საწესდებო კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს ნულ ლარს. ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

პარტნიორთა კრება წვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემისა და განაწილების წესს.

2022 წლის განმავლობაში არ მომხდარა დივიდენდის გამოცხადება და გაცემა.

დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი

მენეჯმენტის შეფასებით წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან წარმოებული ოპერაციებით გენერირებული ნეტო სარგებლის გარკვეული ნაწილი წარმოადგენს დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგს და შესაბამისი ეფექტი აისახა პირდაპირ საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში, ნაცვლად შემოსავლის და შესაბამისი თვითღირებულების განცალკევებული წარდგენისა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

17. მიღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
				ძირი	პროცენტი	ძირი	პროცენტი
მიღებული სესხი ფინანსური ინსტიტუტიდან	ლარი	რეფინანსირების განაკვეთის დამატებული 2%	2026	3,883	25	4,686	27

2021 წელს კომპანიამ აიღო გრძელვადიანი სესხი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად.

მნიშვნელოვანი ფინანსური კოვენანტები წარმოდგენილია ქვემოთ, შესაბამისი კოეფიციენტების გადათვლა ხდება ბოლო თორმეტი თვის მონაცემების საფუძველზე:

ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების (EBITDA) 300%-ზე მეტი;

სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR მინიმუმ 1.3 დონეზე.

Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 1.05 დონეზე;

კომპანია ვალდებულია, სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ 3.0 დონეზე;

კომპანია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებს ფინანსურ კოვენანტებს, შესაბამისად მიღებული სესხი წარდგენილია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანია სესხის აღებიდან ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში გრაფიკის მიხედვით ფარავს სასესხო ვალდებულებას. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ მოუწევს სასესხო ვალდებულებების დროზე ადრე დაფარვა.

ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე კომპანია აგრძელებს სესხის დაფარვას გრაფიკის შესაბამისად, კომპანიას დამატებითი გრძელვადიანი სესხი არ აუღია.

კომპანიის საკრედიტო პროდუქტების უზრუნველსაყოფად იპოთეკით არის დატვირთული შპს „Portal“-ის უძრავი ქონება (სავაჭრო ფართი). ამავე სესხის უზრუნველყოფისათვის გაფორმებულია შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“-ს და შპს „Portal“-ის სოლიდარული თავდებობა.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	12,366	3,520
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	134	121
მიღებული ავანსები	39	24
სხვა ვალდებულებები	13	10
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,552	3,675

19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

გაცემული სესხი

კომპანია/მფლობელი	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს "კვ"	მშობელი საწარმო	2,593	225
შპს „Portal“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	827	-
ნოდარ ხუბაშვილი	ბენეფიციარი მესაკუთრე	377	-

მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს „Portal“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	15	79
შპს „ქართული წვენი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	5	-
შალვა ხუბაშვილი	ბენეფიციარი, მესაკუთრე	3	-
ნოდარ ხუბაშვილი	ბენეფიციარი, მესაკუთრე	3	-

ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	12,363	3,520
შპს „ვოლსი გლდანი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	3	-

კომერციული ხარჯები დაკავშირებული მხარესთან

კომპანია	კავშირის სახე	2022	2021
შპს „პორტალ“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,197	1,234
შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	39	41
ნოდარ ხუბაშვილი	ბენეფიციარი მესაკუთრე	34	14
შპს „ვოლსი გლდანი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	3	0

19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**საქონლის და მომსახურების შესყიდვა დაკავშირებული მხარისგან**

კომპანია	კავშირის სახე	2022	2021
შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	128,907	107,764

შემოსავალი დაკავშირებულ მხარეზე რეალიზაციიდან

კომპანია	კავშირის სახე	2022	2021
შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	76	-
შპს „კანოპუსი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	7	-
შპს „Portal“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	6	-
შპს „ქართული წვენი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	10	-
შპს „მწვანე მუხები“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	8
ნოდარ ხუბაშვილი	ბენეფიციარი მესაკუთრე	26	2
შალვა ხუბაშვილი	ბენეფიციარი მესაკუთრე	27	44

საპროცენტო შემოსავლები დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხიდან

კომპანია	კავშირის სახე	2022	2021
შპს „Portal“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	27	-
შპს "პპ"	მშობელი საწარმო	104	-

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2022	2021
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ანაზღაურება	89	69

20. პირობითი ვალდებულებები**სასამართლო დავები.**

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები.

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მიღებული სესხები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ჰქონდა ფინანსური კოვენანტი, ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხზე, მეტი დეტალებისთვის იხილეთ მე-17 შენიშვნა.

21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე პერიოდში კომპანიამ დახურა ხუთი და გახსნა ორი ახალი ავტო გასამართი სადგური საქართველოს რეგიონში.

შპს „პორტალ +“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „პორტალ +“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ბექა ებგვერაძე.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: შპს „პორტალ +“ -ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საავტომობილო საწვავით საცალო ვაჭრობა. კომპანიას იჯარით აქვს აღებული ბენზინგასამართი სადგურები და უზრუნველყოფს მათ ფუნქციონირებას. კომპანიაში საშუალოდ დასაქმებულია 177 თანამშრომელი. კომპანიის შემოსავალი მოიცავს საწვავის საცალო ქსელში რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალს;

	2022	2021
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	130,654	114,404

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანიის გაყიდვების უდიდესი ნაწილი მოდის აღმოსავლეთ რეგიონზე (83%). კომპანია 2022 წელს საწვავის საცალო რეალიზაციებს ახორციელებს იჯარით აღებული 38 აგს-ის მეშვეობით. კომპანიის ფინანსური შედეგები და განვითარების გეგმები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არსებულ მნიშვნელოვან მომხმარებლებთან სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნებაზე და ახალი მსხვილი კლიენტების მოზიდვაზე.


კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის დირექტორი 2022 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ბექა ებგვერაძე. კომპანიის დირექტორის დანიშვნის წესი განისაზღვრება წესდების შესაბამისად.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**ფინანსური მაჩვენებლები**

2022 წლის შემოსავალმა შეადგინა 130,654 ლარი, რაც 2021 წელთან შედარებით 14%-ით მეტია. აღნიშნული ზრდა ძირითადად გამოწვეულია რეალიზაციის რაოდენობრივი ზრდით.

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)**ძირითადი კოეფიციენტები:**

	2022	2021
სულ შემოსავალი	130,654	114,404
სულ აქტივები	16,414	7,586
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	140	230
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.87	0.71
მარაგების ბრუნვა (დღე)	28.03	15.64
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	36.95	12.44
დებიტორების ბრუნვა (დღე)	2.82	1.43

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „პორტალ +“-ის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 130-დან 150-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. ამ მიზნით, კომპანიის საქმიანობა ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

შპს "პორტალ +" -ს საწვავით ამარაგებს შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“. კომპანიის საქმიანობა არ არის დამოკიდებული რომელიმე ერთ მომხმარებელზე, კომპანიის კლიენტები არიან როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირები.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება, არსებული მომხმარებლების კმაყოფილებაზე ზრუნვა და კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ტექნოლოგიური სიახლეებისა და ბაზრის არსებული კონიუქტურის გათვალისწინება.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს მომხმარებელთა ახალი სეგმენტის მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

კომპანია მუდმივად ადევნებს თვალს სიახლეებს ნავთობპროდუქტების სფეროში, შესაბამისად ხდება ტექნოლოგიური სიახლეების პერმანენტული დანერგვა საქმიანობაში, რათა გაუმჯობესებულ იქნას უსაფრთხოების სტანდარტი და მომსახურების ხარისხი.

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა**

2022 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები**წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:**

ფინანსური ანგარიშგების არე	2022	2021	გადახრის ახსნა
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,552	3,675	შენიშვნა 1
მარაგები	9,522	4,621	შენიშვნა 1
გაცემული სესხი	3,797	225	შენიშვნა 2

შენიშვნა #1:

აღნიშნული ფინანსური არეების ზრდა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ 2022 წელის ბოლოს კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან შეიძინა საწვავის მარაგი. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი წარმოადგენს დაკავშირებულ მხარესთან ვალდებულებას.

შენიშვნა #2:

კომპანიამ 2022 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებზე გასცა არაუზრუნველყოფილი სესხები ეროვნულ ვალუტაში. სესხის საპროცენტო განაკვეთია 11,5%.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2022	2021
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,736	3,688
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	24.6	18.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	6,672	5,015
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.1%	10.4%
საშუალო წლიური ინფლაცია	11.9%	13.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	2,000	1,152.8
უმუშევრობის დონე, %	17.3%	20.6%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, ვინაიდან არ აქვს ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 7 დეკემბერს:

ბექა ემგვერამე
დირექტორი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ წარმოუშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, ვინაიდან არ აქვს ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 7 დეკემბერს:

